# არაძალადობრივი სამოქალაქო დაუმორჩილებლობის სახესხვაობები თურქეთსა და საქართველოში 2018-2022 წლებში

**სოფიკო ბზარაშვილი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერებები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი ასოცირებული, პროფესორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2022**

# განაცხადი

*„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“*

სოფიკო ბზარაშვილი

29.06.2022

## აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის საკვლევ თემას წარმოადგენს, არაძალადობრივი სამოქალაქო დაუმორჩილებლობის სახესხვაობები საქართველოსა და თურქეთში 2018-2022 წლებში . ნაშრომის მიზანია განიხილოს ორ სახელმწიფოს შორის განსხვავებები და გაანალიზოს მათი ეფექტურობა. სამი საკვლევი კითხვა იქნა შერჩეული, კერძოდ, საზოგადოების რომელი სოციალური ფენები ერთვებიან სამოქალაქო ატივიზმში? რამდენად ხშირად ვხვდებით საქართველოსა თუ თურქეთში არაძალადობრივი აქტივიზმის ფაქტებს? როგორი მოდელის საპროტესტო ტალღები დაიწყო საქართველოში გავრილოვის ღამის შემდგომ ? და ძირითადი შეკითხვა არაძალადობრივი სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მეთოდების რომელი სახესხვაობები გვხვდება 2018-2022 წლებში თურქეთსა და საქართველოში?, შესაბამისად არის ჰიპოთეზების რაოდენობაც განსაზღვრული, პირველი ჰიპოთეზა გულისხმობს, რომ თუ ვიმსჯელებთ საქართველოს უახლესი ისტორიიდან, სამოქალაქო დაუმორჩილებლობით გამორჩეულ ფენას წარმოადგენენ ქართველი ახალგაზრდები საუნივერსიტეტო სივცეებიდან. (ამას თვალსაჩინო მაგალითია ერთ-ერთი პირველი მძლავრი ახალგაზრდული პროტესტი 1989 წლის 9 აპრილს, გავრილოვის ღამე, უკრაინის მხარდამჭერი აქცია და სხვა) . რაც შეეხება მეორე ჰიპოთეზას, ორი ტიპის ფაქტორის გამოყოფა შეიძლება - ენდოგენური და ეგზოგენური. საქართველოს შემთხვევაში - ძირითადად ეგზოგენური ფაქტორი დომინირებს, თურქეთის სამოქალაქო საზოგადიებას ენდოგენური ფაქტორები აიძულებს დაიწყოს მასიური არაძალადობრივი სამოქალაქო დაუმორჩილებლობა. კვლევის პროცესისას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებმა და საკვლევი შემთხვევების ზრდამ, კონკრეტულად უკრაინის მიმართ სოლიდარობის გამოსახატად წამოწყებულმა არაძალადობრივმა სამოქალაქო გამოსვლებმა საქართველოსა და თურქეთში, ასევე ევროკავშირში კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად ქართული საზოგადოების უალტერნატივო არჩევანის გამოხატვამ

არაძალადობრივი სამოქალაქო გამოსვლებით, საკვლევი კითხვების დამატება მოითხოვა. მეთოდოლოგიის კუთხით, აღნიშნული ნაშრომი ეფუძნება ხშირად გამოყენებულ შერეულ მეთოდებს, კვლევის დიზაინიც მეთოდოლოგიის მიხედვით არის განსაზღვრული, იწყება რაოდენობრივი კვლევის მეთოდით და მოსდევს თვისობრივი

ნაშრომის პირველ ნაწილში განხილულია არაძალადობრივი სამოქალაქო დაუმორჩილებლობის სტრატეგიები, მიზნები და შედეგები. ხოლო ნაშრომის მეორე ნაწილში კი დარგის ექპერტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან სიღმისეული ინტერვიუსა და ანკეტირების შედეგად მიღებული პასუხები, რომელთაც თეორიებისგან გასხვავებული სურათი წარმოგვიდგინეს.

**ძირითადი საძიებო სიტყვები** : არაძალადობრივი სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, მორალური ჯიუ-ჯიცუ, კონსოლიდირებული ავტორიტარული რეჟიმი, დემოკრატიული კონსოლიდაცია.

# Abstract

The research topic of the master's thesis is Non-violent civil resistance Differences in Georgia and Turkey in 2018-2022. The aim of the paper is to review these variants and analyze their effectiveness. In the first phase of the research, three research questions were selected, namely, which social strata of society are involved in civic activism? How often do we encounter facts of non-violent activism in Georgia or Turkey? What kind of model of protest waves started in Georgia after Gavrilov's night? And the main question is what types of non-violent civil resistance methods will be found in Turkey and Georgia in 2018-2022? -One of the first Holy Youth Protests was on April 9 1989. As for the second hypothesis, unlike Georgia, Turkey is constantly forced by endogenous factors to accept massive non-violent civil disobedience on its own soil. In Turkey there is no danger of being influenced by the intervention of occupation and exogenous factors, more often examples of non-violent protest are found in the academic and artistic spheres. However, the current developments in the country and the increase of case studies (cases) during the research process, specifically non-violent civil demonstrations in solidarity with Ukraine in Georgia and Turkey, as well as the expression of Georgian society's alternative choice for EU candidate status, require non-violent civil disputes. In terms of methodology, this paper is based on frequently used mixed methods, the research design is also defined according to the methodology, starting with the quantitative research method and followed by the qualitative

The first part of the paper discusses the strategies, goals, and results of non-violent civil resistance. And in the second part of the paper, in-depth interviews and surveys with industry experts, and non-governmental organizatihich presented a different picture from the theories.


**Keywords**: Nonviolent Civil Disobedience, Moral Jiu-Jitsu, Consolidated Authoritarian Regime,

Democratic Consolidation.

## მადლობა

უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებული პატივისცემით მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ნინო ფავლენიშვილს, რომელმაც ნაშრომის წერის პროცეში გამიკვალა გზა და დამეხმარა თვალსაწერის გაფართოებაში, რათა ჩემი კვლევა ბევრად მასშტაბური გამოსულიყო ვიდრე საწყის ეტაპზე დავგეგმე.

ასევე მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ ექსპერტსა და არასამთავრობო ორგანიზაციას, ვინც სიღმისეულ ინტერვიუზე დამთანხმდა და ხელი შემიწყო სხვადასხვა არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედი აქტივისტების მოძიებაში. საბოლოდ კი მადლობას ვუხდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თავისუფალი უნივრსიტეტის მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებს, რომლებმაც ანკეტირებაში მიიღეს მონაწილეობა.